განათლება და ბავშვის უფლებები

ნინო სოხაძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
e-mail:nino.sokhadze@atsu.edu.ge
https://doi.org/10.52340/lac.2022.812

თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცე დიდი ცვლილებების წინაშე დგას. ეს არ არის მხოლოდ ფორმალური ცვლილებები, ეს არის შინაარსობრივი ცვლილებები.

საგანმანათლებლო პროცესის განმსაზღვრელი არის ბავშვი, მოზარდი, ოჯახი, სკოლა და სოციალური გარემო. საგანმანათლებლო მოთხოვნა ეს არის უპირობო მოთხოვნა, რომ ჩვენ აღვზარდოთ განათლებული, სწორი ორიენტირების მატარებელი პიროვნება.

ჩვენთვის საინტერესოა სწორად გავერკვიოთ საკითხში: რას ნიშნავს ბავშვთა უფლებების კულტურის გაძლიერება?

სამწუხაროდ, ეს საკითხი განსხვავებული იქნება ევროპის ქვეყნების განათლებისთვის და ყოფილი საბჭოთა ქვეყნების განათლებისათვის.

სწორედ ეს განსხვავება არის მნიშვნელოვანი ქვეყნის მომავალი ძლიერი არსებობის.

მე ვფიქრობ, საბჭოთა რეჟიმის საგანმანათლებლო სისტემა საერთოდ არ ფიქრობდა ბავშვზე, არ არსებობდა არავითარი ბავშვთა უფლებები, ასწავლიდა მას უსიტყვო მორჩილებას, ტყუილში ცხოვრებას, უაზრო ზეპირობას, პოზაში დგომას. საბჭოთა მასწავლებელს არ უყვარდა მოსწავლისაგან შეკითხვის დასმა. მას ყოველთვის ასეთი განწყობა ჰქონდა: „ეს როგორ გამიბედე“. და თუ მაინც გაბედავდა მოსწავლე მთელი სკოლა, მასწავლებლები მას საშიშად თვლიდნენ.

მოსწავლემ საერთოდ არ იცოდა, რას ნიშნავდა მოსწავლის უფლებები და რისი უფლებები ჰქონდა ან არ ჰქონდა მას. არ ასწავლიდნენ ბავშვს აზროვნებას. არსებობდა მხოლოდ ერთი ფერი - წითელი და მოზარდს დაკარგული ჰქონდა ტოლერანტობის, მულტიკულტურის განცდა. ასე მივიღეთ მასიური ადამიანი და დაიკარგა და აღარ არსებობს ან ძალიან ცოტა არსებობს ინდივიდი, რომელსაც აზროვნება შეუძლია. ეს ყველაფერი გენეტიკურად გადაეცემა მომავალ თაობებს.

დღეს ასგზის უკეთესი მდგომარეობაა ბავშვის უფლებების კულტურული თვალსაზრისით. თანამედროვე მოსწავლეებმა იციან, რომ მათ აქვთ უფლებები, რომ ისინი არიან თავისუფალი და რომ, ამავე დროს აქვთ პასუხისმგებლობა და არჩევანის გაკეთების უფლება.

განსხვავებულია თანამედროვე სასკოლო გარემო. აღარ არიან ავტორიტარული რეჟიმის მასწავლებლები, რომლებსაც უყვარდათ მორჩილება და ბრძანება და არიან ჩვეულებრივი მასწავლებლები, რომლებიც უსმენენ და პატივს სცემენ მოზარდს.

მაგრამ ძნელია ასე სწრაფად დაბინძურებული ცნობიერების, აზროვნების განწმენდა, თბილი და ადამიანური ურთიერთობების სწავლა, მაგრამ, მე ვფიქრობ, თანამედროვე საგანმანათლებლო საზოგადოება ამას ცდილობს და გვეყოლება მომავალი თაობა, რომელიც იქნება უფრო ძლიერი და პასუხისმგებლიანი.

ლიტერატურა:

1.მადონა კაპანაძე „ადამიანი და მისი აღზრდის პრობლემა“
2.თამუნა ქორიძე „ფილოსოფია, აღზრდა და განათლება. ადამიანის მისწრაფება უსასრულობისაკენ“.

Nino Sokhadze
Akaki Tsereteli State University

Education and children`s rights

Abstract

The paper addresses a very interesting issue of children`s rights.

Children`s rights need for children to know what rights mean.

Unfortunately for many years there were no children`s rights and soviet regime believed that everything in the Soviet Union was perfect in this respect.

The modern social environment, the educational space, the family needs the right orientation in these issues or, to put simply, upbringing and imparting knowledge.

The whole educational space and social environment should try to bring the adolescent in this direction.